



საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ონლაინ ლექციებზე დასწრების ინსტრუქცია

Google Meet პლატფორმის გამოყენებით შექმნილ ვირტუალურ საკლასო ოთახში კურსზე დასასწრებად შეტყობინებას ლექტორისაგან მიიღებთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით (სურათი 1). თითოეული სტუდენტისათვის სავალდებულოა უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ელექტრონული ფოსტის “...@ssu.edu.ge” გამოყენება.




სურათი 1

ამის შემდგომ სისტემა მოგთხოვთ კამერის გამოყენების ნებართვას, გამოსულ საინფორმაციო ფანჯარაში დააჭირეთ allow-ს (სურათი 2)



სურათი 2

კამერა გააქტიურდება და ამის დასტურად ეკრანზე გამოვა ის გამოსახულება საიტკენაც მიმართულია კამერა, ჯგუფის გასააქტიურებლად დააჭირეთ join meeting-ს (სურათი 3), რის შემდეგაც თქვენ შეხვალთ ონლაინ კლასში.



სურათი 3

შენიშვნები და რეკომენდაციები:

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის, ყოველმა სტუდენტმა უნდა გათიშოს აუდიო სიგნალი, მიკროფონის ნიშანზე დაჭერით.

მიკროფონი გააქტიურეთ მხოლოდ კითხვის დასმის მიზნით და მხოლოდ მას შემდგომ რაც დარწმუნდებით რომ სხვა არავინ აკეთებს იგივეს.

ინტერნეტის ხარისხის გაუარესება გამოიწვევს ლექტორის ვიდეო სიგნალის დაბრკოლებას, შესაბამისად რეკომენდირებულია გათიშოთ ვიდეოსიგნალი.

ონლაინ რეჟიმში სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია:

1. უწყვეტი კავშირი ინტერნეტთან
2. desktop კომპიუტერსათვის - კამერა, მიკროფონი და დინამიკები; / ან laptop კომპიუტერი, რომელიც უკვე შესაბამისადაა აღჭურვილი.
3. ვებ-ბრაუზერი Google Chrome, Firefox, Microsoft Edge ან Safari.
4. მობილურით ან პლანშეტით სარგებლობისთვის გადმოწერეთ პროგრამა hangout meets

Android:

<https://play.google.com/store/apps/details?id=com.google.android.apps.meetings&hl=en>

iOS:

<https://apps.apple.com/us/app/google-meet/id1013231476>